თვითმმართველობა საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1818-1921)

“თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. საცა უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს... ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტათ თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს...თვითმმართველობის საქებრად ეს კი უნდა ვთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი.”
ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, 1877

სათავეებთან

წარმატებას, რომელსაც ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ხანში - ორნახევარ წელიწადში (1918-1921) - მიაღწია, ჰქონდა თავისი წინამძღვრები, რომლებსაც საფუძვლები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეყრება. ესენია: XIX საუკუნის 60-იანებიდან ქალაქებში თვითმმართველობის დამკვიდრების მცდელობა, საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის მიმდინარე დისკუსიები (პირველი დასი - “თერგდალეულები” ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, “მეორე” და “მესამე” დასები, ნიკო ნიკოლაძისა და ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით).

მიუხედავად რუსეთის იმპერიის მხრიდან რიგი შეზღუდვებისა, საქართველოში მაინც ჩნდებოდა ინიციატივები სხვადასხვა მიმართულებით: კულტურული (სახალხო ბიბლიოთეკები, სკოლები და უნივერსიტეტები), სამეურნეო (ამხანაგობები, კომუნები) და საქველმოქმედო (როგორც ქართველი მეწარმეების, ისე თავად ამხანაგობებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების მხრიდან). შედეგად 1918 წლის დასაწყისისათვის უკვე არსებობდა:

- განათლების სფეროში - სოფლის სკოლებისა და სახალხო უნივერსიტეტების საკმაოდ განვითარებული ქსელი (“ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების”, სათავადაზნაურო ბანკის, “სოფლის საზოგადოებების” მუშაობის შედეგად), რასაც 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება მოჰყვა;[1]

[1] 1914 წელს საქართველოში პროცენტულად ბევრად მეტი ქართული წერა-კითხვის მცოდნე იყო, ვიდრე რუსულისა რუსეთში. ამ მხრივ, საქართველო, პოლონეთთან და ფინეთთან ერთად, იმპერიის მოწინავე რეგიონს წარმოადგენდა.

- გავითარებული სამეურნეო ამხანაგობები (მაგალითად: ქუთაისელ ქალთა მეაბრეშუმეობის ამხანაგობა, სოფელ გულგულას კომუნა, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და ა.შ.);
- საკმაოდ განვითარებული საქალაქო თვითმმართველობა - სწორედ თვითმმართველობების საქმიანობის შედეგია თბილისის ფუნიკულიორი, ტრამვაი და ქუჩების გამწვანება; ქალაქის განვითარების გეგმები თბილისში (დღევანდელი რუსთაველისა და აღმაშენებელის გამზირები), ზუგდიდში, ბათუმში, ქუთაისსა და ფოთში);
- რეფორმების მოსურნე საკმაოდ ძლიერი სოციალური ბაზა (კოოპერაციული მოძრაობა, ამხანაგობები, დაწყებითი სკოლები, სათემო კომუნები), პოლიტიკური მზაობა (მაგალითად, გურიაში 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში შექმნილი "ბახვის მანიფესტი", რაც ადამიანის უფლებათა დღევანდელი ხედვების იდენტურია და ა.შ.);

შედეგად ქვეყანაში ჩამოყალიბდა ძლიერი საზოგადოებრივი დაკვეთა და შესაფერისი მომენტის დადგომისას თვითმმართველობის მოთხოვნა იქცა ისეთ ფაქტორად, რისთვისაც ანგარიში ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა გაეწია.

დამოუკიდებელი სახელმწიფო

ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების პროცესი განსაკუთრებით სწრაფი ტემპით რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ განვითარდა. ამის საფუძველს თავად ქართულ საზოგადოებაში არსებული განწყობები ქმნიდა.

ადგილობრივი ინიციატივები (დაწყებული საქალაქო თვითმმართველობების გააქტიურებიდან, დასრულებული "სოფლის საზოგადოებების" მუნიციპალურ სტრუქტურებად ჩამოყალიბების მცდელობებით) იმდენად სტიქიური, ძლიერი და მრავალფეროვანი იყო, რომ ნებისმიერი ძალა, რომელიც კი ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, იძულებული იქნებოდა მასზე რეაგირება მოეხდინა. ძალზე ხშირად მთავრობა - ჯერ კავკასიის კომიტეტი (1917), შემდეგ ამიერკავკასიის სეიმი (1918), ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა (1918 წლის 26 მაისის შემდეგ) - არსებულ რეალობაზე პოსტფაქტუმ რეაგირებდა.

ჯერ კიდევ 1877 წელს ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა თვითმმართველობის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე: "ჩვენ გვგონია, რაცა ვსთქვით, ეგეც სამყოფი საბუთი იყოს, რომ ხელახლად გადაისინჯოს ყოველივე კანონმდებლობა ამ საგანზედ, თუ სოფლის კეთილგანწყობა ვისთვისმე სასურველია, და ვისთვის არ უნდა იყოს

სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელშივე დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას – გუბერნია...” [2]

ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან მოსახლეობის მოლოდინებს ადეკვატურად უპასუხა და პროცესისათვის ხელის შეშლისა თუ ძალაუფლების ცენტრალიზაციის მცდელობის ნაცვლად (რაც ბევრ ახალგაზრდა სახელმწიფოს ახასიათებს), აქცენტი ადგილობრივ დონეზე საზოგადოების ჩართულობასა და შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე გააკეთა.

ტიტე მარგველაშვილი (1890 - 1946)
ეროვნულ-დემოკრატი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი საერობო ინსტრუქ-ტორი. დახვრიტეს თბილისში.

“...ჩვენ პირველად დავაარსეთ სამაზრო ერობები, შემდეგ კი შეუდექით თემების შექმნას. ასეთი პოლიტიკა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი: ჩვეულებრივად ჯერ უნდა მომხდარიყო თემების მოწყობა. თემები - ეს ის ორგანოებია, რომლებიც ყველაზე უფრო ახლოს დგანან ხალხთან და რომელზედაც ემყარება სახელმწიფო; ამიტომ მეტი სახელმწიფოებრივი უფლებები იმათ უნდა ეკუთვნოდეთ. მთავრობის საუმჯობესო დასაყრდენი ორგანო თემებია. ჩვენც განზრახვა გვაქვს გავაფართოვოთ თემების უფლება და უკანასკნელი სათანადო იურიდიულ ნორმაში ჩამოვასხათ. მთავრობას არ ეშინია ხალხის გაძლიერების, ამიტომ იგი ცდილობს გააძლიეროს თემები და შემდეგ შეაკავშიროს ისინი ძლიერ ერობათა ცენტრში...” [3]

2 ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და კანონი, 1877
3. ნოე ჟორდანია, მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, 1919”

გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881 - 1937)
სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი, მთავრობის თავმჯდომარის ამხანაგი, ერობათა კავშირის თავმჯდომარე, დახვრიტეს 1937 წელს.

უფრო მეტიც, ახალი თვითმმართველობის ფორმირების პროცესი ახალი სახელმწიფოს ცენტრალური ინსტიტუტების შექმნის პარალელურად დაიწყო და ამ პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი წარმმართველი სწორედ ცენტრალური ხელისუფლება იყო. აღნიშნულის ნათელ ილუსტრაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია წარმოადგენს. რიგ შემთხვევებში ძალოვანი უწყებები თავად გამოდიოდნენ ადგილებზე უფლებების გადაცემის არა მხოლოდ მომხრედ, არამედ ინიციატორად.

ნოე რამიშვილი (1881 - 1930)
სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე, შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, სავარაუდოდ, საბჭოთა სპეცსამსახურებმა მოკლეს პარიზში.

თვითმმართველობის სისტემის მონახაზი

საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო გარანტიები მოცემულია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. ამ საკითხს მთლიანად ეძღვნება მე-10 თავი (მუხლები 98-106). კონსტიტუციის მიხედვით:

- თვითმმართველობა განაგებდა საჯარო საქმეებს თავისი ტერიტორიის ფარგლებში;
- თვითმმართველობის ორგანოები აირჩეოდა საყოველთაო არჩევნების გზით;
- თვითმმართველობის დადგენილების გაუქმება მხოლოდ სასამართლო წესით შეიძლებოდა (მთავრობას გააჩნდა თვითმმართველობის მიერ მიღებული სადაო აქტების მხოლოდ შეჩერების და არა გაუქმების უფლება).

სხვადასხვა საკითხებში სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა პერმანენტულად იცვლებოდა. 1920 წლის ბოლოსათვის უკვე მომზადებული იყო რიგი კანონპროექტებისა (ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის, საერობო ფინანსების, თემის და ა.შ. შესახებ), რომლებიც ქმნიდნენ ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების საფუძველს და რომელთა მიღებაც საქართველოს დამფუძნებელი კრების 1921 წლის საგაზაფხულო სესიაზე იგეგმებოდა.

ნიკოლოზ (ნიკო) ელიავა (1876 – 1937)
სოციალ-დემოკრატი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა საქართველოს ქალაქთა კავშირს, დახვრიტეს 1937 წელს.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული რუკა

საქართველოში *დე ფაქტო* და *დე იურე* არსებობდა ორდონიანი თვითმმართველობა.

1. თვითმმართველობის პირველ დონეს სასოფლო თემები და თვითმმართველი ქალაქები ქმნიდნენ,
2. მეორე დონეს მაზრები წარმოადგენდნენ.

თემები ყალიბდებოდნენ არსებული "სოფლის საზოგადოებების" ბაზაზე. მათ ჰქონდათ სხვა თემებთან გაერთიანების ან ახალ ერთეულებად დაშლის უფლება, ოღონდ საერობო ყრილობის ნებართვით.

თემებს ჰყავდათ ორი წლის ვადით არჩეული საბჭო და თემის თავი, გააჩნდათ საკუთარი ქონება, შემოსავლები და ბიუჯეტი.

1920 წლის აგვისტოსათვის საქართველოს 20 მაზრაში (აჭარის, ართვინის, არდაგანის, ოლთისის, სოჭისა და ზაქათალის ოლქებს გარდა) არსებობდა 356 თემი.[4] ამ პერიოდისათვის მხოლოდ ორ სამხარეო ერთეულში (ახალქალაქის მაზრა და გაგრის ოლქი) არ იყო დასრულებული პირველი დონის ერთეულების ფორმირების პროცესი.

4 ერობათა მოქმედება, ერობა, ერთობა #192, 26.08.1920.



6

ს ი ა

საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო ერობების

I. ბინების ხარაზი ერობა.

ო ბ ე ბ ი:

I. ბორჯ ომის - ბობაზარი / ბეღლები ოფი. 36. GH/
2. ბორჯომის - " / ბორჯომი /
3. ოკონ - " / ბანიანჯაში/
4. ხაგანლური - " / ს. ხაგანლეში/
5. ახალციხ - " / ახალციხე-ლიბანელი /
6. ლიბლიგის - " / ლიბლიგი / ფეხი წყარო /
7. ზანგეზის - " / ზანგეზი /

II. ხიბლაგის ხარაზი ერობა.

ო ბ ე ბ ი:

I. ანაგის - " / ანაგა /
2. ლალის - " / ლალი /
3. ხაგის - " / ხაგ. ზეური /
4. ბოდის ხევის - " / ბოდის ხევი/
5. ჯეგანის - " / ჯეგანი/
6. ლიბანი - " / ლიბანი/
7. ზიბლანის - " / ზიბლანი/
8. ხევი-ბაზალის " / ხევი-ბაზალანი/
9. ქვემო-ბაზალის " / ქვემო-ბაზალანი/
10. ბოდის - " / ბოდა /
11. ზაგარის - " / ქვეზეური /
12. ყარაბანის " / ყარაბანი/
13. ბაკურიანის " / ს. ბაკურიანი /
14. ლეკანის - " / ლეკანი /
15. ახალის - " / ახალი /
16. ლეუსიანის " / ლეუსიანი/
17. ანაგელეთ " / ანაგელეთ /
18. ყარაბეთის " / ყარაბეთ /
19. ყაგანეთის " / ყაგანეთ /
20. ზეგანეთ " / ზეგანეთ /
21. ფეფოლეთ წყარო " / ფეფოლეთ წყარო/
22. ლეთის " / ზემო-ლეთი /
23. ყარეის ხევის " / ყარეის-ხევანი /
24. ფეფოლეთ " / ფეფოლეთი /

ეროვნული ARCHIVES OF GEORGIA National Archives of Georgia

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამაზრო ერობებში შემავალ თემთა სია. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში: სცსა, ფ. 1921, აღწ. 1, საქ. 254.

ქალაქები. საქალაქო თვითმმართველობის ჩამოყალიბება XIX საუკუნის II ნახევარში იწყება. ამით იგი წინ უსწრებდა სამაზრო და სათემო თვითმმართველობის შემოღების პროცესს. დიდ ქალაქებს გააჩნდათ სამაზრო სტატუსი, ამავე დროს ყველა ქალაქს, მიუხედავად სიდიდისა, ჰქონდა თვითმმართველი სტატუსი.

1918 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე (სადავო ტერიტორიების ჩათვლით) არსებობდა 48 ქალაქი.1918 წლის 17 დეკემბრის დებულებით არჩევნები უნდა ჩატარებულიყო კონტროლირებად ტერიტორიაზე - 34 ქალაქში.[5] ქალაქის საბჭოების არჩევნები 1919 წლის მანძილზე ჩატარდა 26 ქალაქში.[6] დანარჩენ ქალაქებში მუშაობას აგრძელებდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე არჩეული ადგილობრივი ხელისუფლება.

ქალაქებს ჰყავდათ ორი წლის ვადით არჩეული საბჭო (მოსახლეობის ოდენობიდან გამომდინარე - 20-დან 90 წევრამდე) და გამგეობა (მოურავით სათავეში), გააჩნდათ საკუთარი ქონება, შემოსავლები და ბიუჯეტი. ქალაქებში, სადაც მცხოვრებთა ოდენობა აღემატებოდა 50 ათას ადამიანს, უნდა შექმნილიყო საუბნო სამმართველოები.

5 აღნიშნულ ეტაპზე არ იგეგმებოდა არჩევნების ჩატარება ზოგ სამაზრო ცენტრში (გალი, ეკატერინენფელდი/ბოლნისი, თიანეთი, ცაგერი) და იმ ქალაქებში, სადაც მოცემული მომენტისათვის არ ვრცელდებოდა საქართველოს იურისდიქცია (ბათუმი, ქობულეთი, ორდაგანი, ართვინი, ოლთისი, ალავერდი. აგრეთვე ათინა, თორთიუმი, რიზე, ხოფა).
6. საქალაქო არჩევნების პირველ ეტაპზე არჩევნები არ ჩატარებული 8 ქალაქში (ახალქალაქი, მანგლისი, შულავერი, აბასთუმანი, სოჩი, ხოსტა. ადლერი, ზაქათალა).

1919 წლის დასაწყისისათვის საქართველოს ტერიტორიაზე (აჭარის, ართვინის, არდაგანისა და ოლთისის ოლქებს გარდა) არსებობდა 39 ქალაქი, საკუთარი თვითმმართველობის ორგანოებით.

მაზრები. საქართველოს ტერიტორია იყოფოდა 21 მაზრად.[7] მაზრები შეიქმნა რუსეთის იმპერიაში არსებული სამაზრო დაყოფის საფუძველზე. აღნიშნული დაყოფის თანახმად არსებობდა: 9 მაზრა - თბილისის, ხოლო 7 - ქუთაისის ყოფილი გუბერნიების ტერიტორიაზე, აგრეთვე სოხუმის (4 მაზრა) და ზაქათალის (1 მაზრა) ოლქები.

მაზრებს ჰყავდათ ორი წლის ვადით არჩეული წარმომადგენლობითო ორგანო - ერობა (მაზრის სიდიდიდან გამომდინარე - 23-დან 45 წევრამდე) და კოლეგიალური აღმასრულებელი ორგანო - გამგეობა, გააჩნდათ საკუთარი ქონება, შემოსავლები და ბიუჯეტი.



ეროვნული
ეროვნული
ეროვნული
National
Archives of
Georgia

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმ სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობის სია, რომლებიც არჩევნების შედეგად აირჩა. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში: სცსა, ფ. 1921, აღწ. 1, საქ. 253.



ეროვნული
ეროვნული
ეროვნული
National
Archives of
Georgia

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მაზრებისა და სამაზრო ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკა, 1920. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში: სცსა, ფ. 1921, აღწ. 1, საქმე 257.

7 აქ არ შედიოდა: აჭარის ოლქი (ბათუმისა და ართვინის მაზრები), რომელიც დიდმა ბრიტანეთმა დაუბრუნა საქართველოს 1920 წლის ზაფხულში); აგრეთვე არ იგულისხმება სადავო ტერიტორიები - ყარსის ოლქის 2 მაზრა (არდაგანი და ოლთისი) და შავიზღვისპირეთის გუბერნიის სოჩის მაზრა.

უფლებამოსილებანი

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკაში ფაქტიურად არ არსებობდა რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების დეკონცენტრირებული სტრუქტურები, შესაბამის საქმიანობას ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებდნენ ცენტრალური ხელისუფლების ინსტრუქტაჟის მეშვეობით (1921 წლის კონსტიტუცია, მუხლი 98).

აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითმმართველობის უფლებამოსილებათა ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელი იყო:

- ადგილობრივი გადასახადების შემოღება;
- ადგილობრივი ქონების და კაპიტალის მართვა;
- სახელმწიფო გადასახადების მოკრების უზრუნველყოფა;
- სახალხო განათლების განვითარება;
- განსახლება, საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება;
- საზოგადოებრივი დაზღვევისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარება;
- შრომის დაცვა. შრომის ბირჟის ჩამოყალიბება და ა. შ.;
- სოციალური უზრუნველყოფის სამსახურები (მ.შ. პირველადი მოხმარების საგნებით მომარაგების უზრუნველყოფა);
- ყველა სახის სატრანსპორტო კომუნიკაციების, გზების მართვა და განვითარება (მ.შ. რკინიგზების - მაზრების ტერიტორიაზე);
- კომუნიკაციების - ფოსტა-ტელეგრაფის განვითარება;
- გარემოს დაცვა;
- ბუნებრივი რესურსების (მიწა, წყალი, ტყე) მართვა;
- სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლა (საგანგებო, სამაშველო და სახანძრო სამსახურები);
- კულტურის განვითარება და კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვა;
- სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის განვითარება;
- წვრილი კრედიტის და შემნახველ-გამსესხებელი საზოგადოებების მოწყობა;
- კოოპერაციის წახალისება;
- სამაზრო სტატისტიკის წარმოება;
- უსაფრთხოების დაცვა და წესრიგის უზრუნველყოფა (ადგილებზე მილიცია ექვემდებარებოდა თემის თავებს).

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, მაზრების კომპეტენციას წარმოადგენდა:

- სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის ორგანიზება;
- მიწის რეფორმის/პრივატიზაციის წარმართვა;
- სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა (მომრიგებელ მოსამართლეთა სისტემის ორგანიზება).

სამაზრო თვითმმართველობების უფლებამოსილებათა ნაწილს მოსახლეობასთან ყველაზე ახლო მდგომი - სათემო თვითმმართველობები ახორციელებდნენ.[8]

თვითმმართველობები საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, მოხელეთა სარგოს ნორმების დაწესება თვითმმართველობების კომპეტენციას წარმოადგენდა და ცენტრალური ხელისუფლება ამ პროცესში საერთოდ არ ერეოდა.

ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი (1879 - 1924)
სოციალ-დემოკრატი, "გურიის რესპუბლიკის" პრეზიდენტი (1905), ქალაქ თბილისის თავი (მერი), სოხუმის ქალაქის თავი (მერი), ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი - დახვრიტეს 1924 წელს, როგორც აჯანყების ერთ-ერთი მეთაური.

ფინანსები და ქონება

ერობის და პირველი დონის თვითმმართველობის შემოსავლებს შეადგენდა:

- ადგილობრივი შემოსულობები (საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსულობები): ქონების გადასახადი (მ.შ. მიწის, ტყის, წყლის და ა.შ., მ.შ. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოებიდანაც); "ერთდროული" (საშემოსავლო და მოგების) გადასახადის წილი; სავაჭრო გადასახადი; საბაჟო გადასახადი; ტრანსპორტირების (ტვირთბრუნვის) გადასახადი; აქციზი (მაზრის ფარგლებში. განაკვეთი, შესაბამის საქონელზე, შეადგენდა მოგების გადასახადის 50%-ს); ცალკე საერობო გადასახადები/მოსაკრებლები.
- თვითმმართველი ერთეულების ფინანსური გამოთანაბრების (სატრანსფერო) სისტემა,რაც ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული მექანიზმებით, დაბალი შემოსავლების მქონე მაზრებისათვის ფინანსური დახმარების გზით;
- სხვა შემოსავლები (ფინანსური აქტივების ზრდა და კლება, სახელმწიფო კრედიტი);
- ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი;

რიგი გადასახადების (სავაჭრო, ტრანსპორტირების და ზოგიერთი სხვა) განაკვეთებს ერობა აწესებდა (ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში) და მათ ამოღებას თვითონვე ახორციელებდა.

8 დავით ლოსაბერიძე, საქართველო - ორი სახის თვითმმართველობა, "ერობა", თბილისი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018, გვ. 261-262.

უშუალოდ ადგილებზე ადგილობრივი დონის ორივე ბიუჯეტი ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო:

- გადასახადები წილობრივად ნაწილდებოდა მაზრასა და თემს შორის (ერობას შეეძლო ცალკეული გადასახადების 100%-ით თემისათვის გადაცემაც);
- თემს, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, შეეძლო ადგილობრივი მოსაკრებლის პროცენტის თავის სასარგებლოდ დაწესება;
- გარდა ამისა, თემს, ასევე კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, გააჩნდა საკუთარი მოსაკრებლების (მ.შ. ნატურალური ან შრომითი ბეგარის სახით) დაწესების უფლება.

თვითმმართველობების ჯამური ბიუჯეტები ერთიანი, კონსოლიდირებული ბიუჯეტების დაახ. 22%-ს შეადგენდა (440 მლნ. მანეთი 1,96 მლრდ. მანეთიდან - 1920 წელი).

1920 წლის ბოლოს, ერობათა რევიზიის შედეგად მიღებული მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ 15 სამაზრო ერობის (თელავის, სიღნაღის, ქუთაისის, სამურზაყანოს და ახალქალაქის გარდა, რომელთა მონაცემები არ შემონახულა) ბიუჯეტებიდან აღნიშნული 440 მლნ. მანეთი დაიხარჯა შემდეგი პრიორიტეტების დაფინანსებაზე:

- ზოგადი ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებებისათვის -18,1 %
- სახალხო განათლებაზე - 17,8 %
- მრეწველობა, ადგილობრივი წარმოების განვითარებაზე - 11,2 %
- სამკურნალო დახმარებაზე - 10 %
- ეკონომიკური აღორძინებისათვის - 6,8 %
- საბეითლო საჭიროებებზე - 1,3 %[9]

ცალკე უნდა აღინიშნოს მუნიციპალური ქონების ფორმირების საკითხი. თვითმმართველობები (როგორც ერობები, ასევე ქალაქები და თემები) ფლობდნენ საკმაოდ მნიშვნელოვან ქონებას. ამავე დროს მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების თვითმმართველობებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის პროცესი.

1919 წლის დასაწყისიდან საქართველოს მთავრობამ დაიწყო ერობებისათვის გზების გადაცემა (გარდა რესპუბლიკური მნიშნელობის სტრატეგიული გზებისა და რკინგიზისა). მათვე გადაეცათ მათ ტერიტორიაზე არსებული რკინგიზის ინვენტარიც.[10]

რეპუბლიკის პრესა სისტემატურად, ფაქტიურად ყოველდღიურად აქვეყნებდა იმ ობიექტების სიას, რომლებსაც ცენტრალური ხელიუფლების უწყებები (სამინისტროები) თვითმმართველობის ორგანოებს გადასცემდნენ.

9 საქართველოს ერობის მოღვაწეობა, ს. ავალიანი, ერობა #1-2, 01.1921.
10 გზების გადაცემა ერობებისათვის, ქრონიკა, კავკასიის ქალაქი #1, 15.01.1919, გვ. 30.



ანუ განსწავლებული კუთხე იქნება დანიშადეული. სადაც მარტო მოსული ხმის მისაცემათ ამომრჩეველთ შეეძლებათ შესყლა. არჩევნების საიდუმლოების დასაცველათ ამ ოთახში, ანუ კუთხეში ორ მეუძლიანთ დასწრება პარტიების წარმომადგენელთ და თვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსაც.

არჩევნები ლანჩხუთში.

2 თებერვალს მოხდა ლანჩხუთის ქალაქის საბჭოს არჩევნები. ამარჩეველთა რიცხვი იყო 3440. საარჩევნო ყუთთან გამოცხადდა და ხმა მისცა 2022.

ამ ხმებიდან სოც. დემ. სიიმ № 1 მიიღო 1589 ხმა, გაიყვანა 16 ხმოსანი; სოც. ფედ. № 2—229 ხმა, (2 ხმოსანი); ეროვ. დემ. № 4—114 ხმა (1 ხმოსანი); ოუპარტიო № 3—90 ხმა, (1 ხმოსანი).

სამეურნეო დარგში

ატენის ტყის სახერხი ქარხანა.

მიწაათ მოქმედობაზს სამინისტრომ გორის სამაზრო ერობას გადასცა ატენის ტყის სახერხი ქარხანა.

ხორბალის მილება.

ფოთში ვიბით მოფტანილით 22 ათასი ფუთი

ცნობა ლანჩხუთის საქალაქო საბჭოს ხმოსანთა არჩევნების შესახებ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №32, გაზეთი დაცულია თსუ ბიბლიოთეკაში.

საზოგადოების ჩართულობა

კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო და პრაქტიკაშიც მოქმედებდა რიგი ნორმებისა, რაც მოქალაქეთა ჩართულობის საკმაოდ მაღალ ხარისხს უზრუნველყოფდა.

- კანონით დაშვებული იყო ადგილობრივი რეფერენდუმების მოწყობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით, თუკი ამას თემის საბჭოს სიითი შემადგენლობის 2/3 მოითხოვდა;
- ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თემებში:
  - სადაც ეთნიკური უმცირესობა მოსახლეობის 2/3-ზე მეტს შეადგენდა, თვითმმართველობებს შეეძლოთ სხდომების ადგილობრივი უმრავლესობის ენაზე ჩატარება (ამავე დროს, ნებისმიერ შემთხვავაში, ყველა დოკუმენტი შედგენილი, ან ნათარგმნი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენაზე).
  - სადაც რომელიმე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები 20%-ზე ნაკლებს შეადგენდნენ, თვითმმართველობა ვალდებული იყო უზრუნველეყო დოკუმენტაციის ამ უმცირესობ(ებ)ის ენაზე თარგმნა (მაგ. სომხები, ბერძნები და გერმანელები ბორჩალოს მაზრაში, სადაც ძირითად ეთნიკურ უმცირესობას აზერბაიჯანელები შეადგენდნენ).

იგეგმებოდა, რომ არა მარტო თემის ცენტრებს, არამედ ყველა სოფელს ჰქონოდა ყრილობების ჩატარების უფლება, სადაც იგი აღმასრულებელ რგოლს აირჩევდა.

პროცესში აქტიურად იყო ჩართული როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ასევე მედია. ამ პერიოდის პრესა (მ.შ. ცენტრალური გაზეთები) ფართოდ აშუქებდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებსა და დეცენტრალიზაციის რეფორმის მსვლელობას.

მუნიციპალური არჩევნები - თვითმმართველობის ფორმირება

მზადება არჩევნებისათვის

ადგილობრივი არჩევნებისათვის მზადება ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, 1918 წლის იანვრიდან დაიწყო. საერობო არჩევნების ჩატარება თავდაპირველად 21 მაზრაში იგეგმებოდა.

საწყის ეტაპზე რეგიონებში არსებული სიტუაცია ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. დასავლეთ საქართველოში, სადაც პოლიტიკურ პარტიებს საკმაოდ ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაციები ჰყავდათ და მოსახლეობის განათლების დონე შედარებით მაღალი იყო, პროცესი უფრო სწრაფად მიდიოდა. შედარებით რთული იყო მდგომარეობა აღმოსალეთ საქართველოში, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აფხაზეთსა და ზაქათალის ოლქში აღინიშნებოდა, სადაც საქართველოს სახელმწიფოს პოზიციებიც მოისუსტებდა.

მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, კავკასიის ფრონტის მოშლამ და თურქეთის ჯარების წინსვლამ ქვეყნის სიღრმეში, კრიმინალური ბანდების თარეშმა და ბოლშევიკურმა აჯანყებებმა პროცესი მნიშვნელოვნად შეაფერხა.[11] განსაკუთრებით დაზარალდა დასავლეთ საქართველო, მ.შ. პოლიტიკურად ყველაზე უფრო დაწინაურებული გურიის რეგიონი. შედეგად 1918 წლის ზაფხულისათვის, როცა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და თურქეთთან გერმანიის იმპერიის შუამდგომლობის წყალობით სიტუაცია შედარებით გამოსწორდა. საქართველოს ყველა რეგიონში თანაბრად მძიმე, თუმცა სტაბილური სიტუაცია ჩამოყალიბდა.



მეორე, ამჯერად ტექნიკური, თუმცა სერიოზული პრობლემა იყო ამომრჩეველთა სიების დაუზუსტებლობა. წინა პერიოდში მომზადებული, რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის დამუშავებული სიები მოსახლეობის დიდი მიგრაციის გამო უკვე აღარ გამოდგებოდა.

სიღნაღის მაზრის საერობო არჩევნებისთვის სოფელ შაშიანის ამომრჩეველთა სია, 1921 წელი. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში: სცსა, ფ. 1921, აღწ. 1, საქ. 248.

11 მთავარი საერობო ინსტრუქტორის მოხსენებები შეჯერებულია შემდეგი წყაროებიდან: საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1863 (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო), ანაწერი №1, ერობა (მოხსენება ერობის შესახებ), საქართველოს რესპუბლიკა #22, 29.01.1919.

საქართველოს ხელისუფლების, განსაკუთრებით შსს-ს და მის დაქვემდებარებაში მყოფი მთავარი საერობო ინსტრუქტორის ოფისისა და მაზრებში შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენელთა მუშაობის შედეგად სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც დეცენტრალიზაციის რეფორმა და ადგილობრივი არჩევნებისათვის მზადება დააჩქარა, იყო ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება, არ დალოდებოდნენ სტაბილურობის დამყარებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და არჩევნები ეტაპობრივად ჩაეტარებინათ იმ რეგიონებში, სადაც შესაბამისი პირობები უკვე იყო შექმნილი.

რაც შეეხება სადავო, ე.წ. "გასამიჯნ" ზონებს, აქ ცვლილებები:

- ან განხორციელდა სტატუსის გარკვევის შემდეგ (ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები; სოხუმის ოკრუგი);
- ან ვერ მოესწრო საბჭოთა აგრესიამდე (ტიფლისის გუბერნიაში - ლორეს ზონა ბორჩალოს მაზრაში; ბათუმის ოლქი - ბათუმი და ართვინის მაზრები; ყარსის ოლქის არდაგანისა და ოლთისის მაზრები; შავიზღვისპირეთის გუბერნია - სოჩის მაზრა; ზაქათალის ოკრუგი).

საერობო არჩევნები

საარჩევნო ადმინისტრაცია იყო არა ერთიანი, არამედ დეცენტრალიზებული - არჩევნები ტარდებოდა სამაზრო საარჩევნო კომიტეტების ხელმღვანელობით. არჩევნების დღე ცხადდებოდა განსაზღვრული წესით და არჩევნები უნდა ჩატარებულიყო ყველა ოლქში ერთდროულად, ერთი ან რამდენიმე დღის განმავლობაში, თუმცა ცალკეულ ოლქებში არჩევნები გადავადდა.


სია № 2

საქართველოს დროებულ მმართველობის პარტიის საერობო ანდერძებისა საბჭოდან რაიონში, ქუთაისის მაზრაში.

1. ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე — პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.
2. მიქელაძე ალექსანდრე — პუბლიცისტი, იურისტი.
3. მიქელაძე სოლომონ გიორგის ძე — საოლქო სასამართლოს თავჯდომარის ამხანაგი.
4. ნანეიშვილი რაფაელ ივანეს ძე — ექიმი
5. ლორთქიფანიძე ნიკოლოზ პიტერის ძე — იურისტი
6. ქართველიშვილი იოსეფ კონოფის ძე — ვაჭარი.

National Archives of Georgia


სია № 3

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საერობო ანდერძებისა სამტრედიის რაიონში, ქუთაისის მაზრაში

1. თებერიძე ილია მოსესის ძე — — — ქუთაისის ჭალაკის თავის ამხანაგი
2. ზოდელავა ამროსი ერასტოსის ძე—პ. ფ. უმაღლ. სასწ. ოსტატ.
3. ფირცხალავა სოლომონ თომასის ძე — — — სტუდენტი
4. კალანდარიშვილი ანტონ ბესარიონის ძე — — ხმის. სასტრ ჭალაკის თვითმართველობისა
5. მიქელაძე სოლომონ კონსტანტინეს ძე —ხმის. ჭალ. თვითმართველ.
6. გეგარამი აკაკი სიმონის ძე — — — დეპის მეშა

National Archives of Georgia

სამტრედიის რაიონის საარჩევნო ოლქში პარტიების საარჩევნო ბიულეტენები, ქუთაისის მაზრის ერობის ხმოსანთა არჩევნებისას, დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

საარჩევნო კამპანია ძირითადად ზეპირი აგიტაციის, დემონსტრაციებისა და ვიზუალური საშუალებების - პლაკატების და აშ. გამოყენებით მიმდინარეობდა.

არჩევნები ჩატარდა 3 ეტაპად (1918, 1919, 1920 წწ) იმისდა მიხედვით, თუ ამა თუ იმ მაზრაში როდის შეიქმნა სათანადო პირობები (მ.შ. დეოკუპაცია და ა.შ.).

- საერობო არჩევნების პირველი ეტაპი 1918 წლის აგვისტო-დეკემბერში გაიმართა 12 მაზრაში (თბილისის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის, შორაპნის, სიღნაღის, გორის, თელავის, დუშეთის, ლეჩხუმის, რაჭის, ზუგდიდის მაზრები).
- მეორე ეტაპი 1919 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების პარალელურად (1919 წლის თებერვალი) გაიმართა აფხაზეთში (4 მაზრა: გუმისთის, კოდორის, სამურზაყანოს, გუდაუთის). ივნის-ოქტომბერში: ბორჩალოს, თიანეთის და ახალციხის მაზრებში, სულ 7 მაზრაში.
- მესამე, უკანასკნელი ეტაპი 1920 წელს გაიმართა. იანვარში უკვე მეორე არჩევნები ჩატარდა ზუგდიდის მაზრაში, ხოლო ივლის-აგვისტოში ერობა ახალქალაქის მაზრის მცხოვრებლებმაც აირჩიეს.

ჯამში ქვეყნის 20 მაზრაში არჩეულ იქნა 659 ხმოსანი: თბილისის მაზრა - 45; გორის მაზრა - 40; დუშეთის მაზრა - 25; თიანეთის მაზრა - 25; ბორჩალოს მაზრა - 32; თელავის მაზრა - 24; სიღნაღის მაზრა - 43; ახალციხის მაზრა - 33; ახალქალაქის მაზრა - 31; ქუთაისის მაზრა - 42; შორაპნის მაზრა - 44; ოზურგეთის მაზრა - 27; რაჭის მაზრა - 25; ლეჩხუმის მაზრა - 23; სენაკის მაზრა - 38; ზუგდიდის მაზრა - 30; სამურზაყანოს მაზრა - 38; კოდორის მაზრა - 25; გუმისთის მაზრა - 38; გუდაუთის მაზრა - 31.[12]

1921 წლისათვის ყველა მაზრაში (გარდა ახლად შემოერთებული აჭარის, ართვინის და ზაქათალის ოლქებისა) მოქმედებდნენ პირველი მოწვევის (ხოლო ზუგდიდში - უკვე მეორე მოწვევის) ერობები.

აღსანიშნავია ამომრჩეველთა აქტივობის თანდათანობითი მატება: თუკი პირველ ეტაპზე ამომრჩეველთა აქტივობა დაახ. 1/3 იყო (12 მაზრაში ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით), შემდგომ ეტაპებზე (არჩევნები 9 მაზრაში) ამ მაჩვენებელმა 2/3-ს გადააჭარბა. აღნიშნული შედეგი ქვეყანაში შედარებითი სტაბილურობის დამყარებამ და სახელმწიფო სტრუქტურების უფრო ეფექტურად მუშაობამ განაპირობა, მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი თავად მოსახლეობის გააქტიურება იყო, რომელმაც უკვე დაინახა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის პირველი შედეგები.

12. ირაკლი ხვადაგიანი, "ერობა", თბილისი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018, გვ. 88-89.



სამაზრო ერობებში

№ №	მაზრები	სოც. დემ.	სოც. დემ.	ერ. ბარ.	სოც. რევ.	ერ. ბარ.	დემოკრ.	ფედერ.	სოციალ. ბარ.	ფარტეი	ბალშევიკ.	ს ე ნ
1	თელავისა . .	34	8	—	—	—	—	—	—	—	—	42
2	გორის	36	2	1	—	—	1	—	—	—	—	40
3	ფოთის	20	5	—	—	—	—	—	—	—	—	25
4	ოზურგეთ . . .	17	7	—	—	—	—	—	—	—	—	24
5	სიღნაღის . . .	25	14	—	—	4	—	—	—	—	—	43
6	ბორჩალოს . .	12	—	—	8	—	—	11	—	—	—	31
7	თიანეთის . . .	15	7	3	—	—	—	—	—	—	—	25
8	ახალ-ციხ . .	31	—	—	—	—	—	—	2	—	—	33
9	ახალ-ქალაქის .	23	—	1	1	—	7	—	—	—	—	31
10	ქუთაისის . . .	22	11	7	2	—	—	—	—	—	—	42
11	ზონტიკის . . .	17	12	10	5	—	—	—	—	—	—	44
12	ონეგ-ბეთის . .	17	5	—	5	—	—	—	—	—	—	27
13	ოსტეინ	24	3	2	10	—	—	—	—	1	—	38
14	ზუგდიდის . .	16	2	3	9	—	—	—	—	—	—	30
15	ლაგ-ბ	21	4	—	—	—	—	—	—	—	—	25
16	ლეხუმის . . .	19	2	2	—	—	—	—	—	—	—	23
17	სოფლ-ბ ნოს	26	6	2	4	—	—	—	—	—	—	38
18	ფშავ-ხევის . .	20	1	2	5	—	—	—	—	—	—	38
19	ქ ფოთის . . .	14	—	3	2	—	—	—	—	5	1	25
20	ფეფოლოის . .	17	—	—	—	—	—	—	—	14	—	31
		433	89	36	51	4	8	11	2	20	1	655

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამაზრო ერობებში გამართულ არჩევნებში პარტიათა მიერ მოპოვებული მანდატების სტატისტიკური განაწილება 1921 წლის მდგომარეობით. გაზ. “ერთობა”, 1921, №17. დოკუმენტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში: სცსა, ფ. 1921, აღწ. 1, საქ. 254.

საქალაქო არჩევნები

დამოუკიდებელ საქართველოში პირველი საქალაქო არჩევნებისათვის მზადება უფრო გვიან დაიწყო. ეს გარემოება მაინცდამაინც შემაფერხებელი არ იყო, რადგან ქალაქებში უკვე მოქმედებდა წინა (1917 წელს და უფრო ადრე პერიოდში) წლებში არჩეული მუნიციპალური სტრუქტურები. 1918 წლის დეკემბერში მომზადდა შესაბამისი საარჩევნო დებულება.

საქალაქო არჩევნები ძირითადად 1919 წლის მანძილზე იმართებოდა იმავე პრინციპით, როგორც სამაზრო/საერობო არჩევნები - საკუთარ ქალაქში არჩევნების გამართვის თარიღს თვითმმართველობები თავად ადგენდნენ (მაგალითად თბილისში ხმოსანთა არჩევნები ჩატარდა 2 თებერვალს, ქუთაისში იანვარ-თებერვალში არჩევნები გადაიდო და მხოლოდ 9 მარტს გაიმართა და ა.შ.).

ქვეყნის მასშტაბით არჩევნები ჩატარდა 26 ქალაქში. საქალაქო არჩევნების მეორე ეტაპი (სხვა ქალაქებისათვის) უნდა ჩატარებულიყო 1921 წლის გაზაფხულიდან, რაც საბჭოთა აგრესიის გამო შეუძლებელი გახდა.



რესპუბლიკის ქალაქები

№ ჩ/ნ	ქალაქები	სოც. დემოკ.	სოც. ფედ.	ეროვ. ფედ.	სოც. რევ.	ეროვ. პარ.	ბიზნესიანი	ფიზიკურები	ეროვნული ჯგუფ.	ფა. ს. დ. ბ.	სამეფოს მიმტ.	სოციალ. ტრ. პარ.	ზნეობის სოფი	ულპარტია	ჯამი
1	თფილისი . .	69	7	10	—	1	1	—	—	1	1	—	—	—	90
2	ქუთაისი . .	34	9	14	1	1	1	—	—	—	—	—	—	—	60
3	სოხუმი . . .	11	7	10	9	—	—	—	3	—	—	—	—	—	40
4	ახალქ ხ. .	9	2	—	3	—	—	—	—	—	—	—	—	1	36
5	გორი . . .	22	6	5	5	—	—	20	—	—	—	1	—	—	33
6	ფოთი . . .	22	2	6	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	31
7	სენტრი . .	16	5	5	—	—	—	5	—	—	—	—	—	—	31
8	სოფ ლი . .	26	1	1	—	2	—	—	—	—	—	—	—	—	30
9	ბ ნ დიდი . .	6	5	7	2	—	—	—	—	—	—	—	—	1	21
10	ბ ბელი . . .	19	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
11	ლ ტ ზეთი. .	17	2	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
12	ყვირილა . . .	15	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
13	სასტუმრო. .	16	1	2	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
14	ა ფრ ნ. . . .	14	—	—	—	—	—	—	—	—	3	—	3	—	20
15	ბ ნი	14	5	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
16	ბ ბ ლ ნ . . .	14	1	3	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
17	ზეკ ბეთი . .	14	1	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
18	ფ ნ ნი . . .	14	—	1	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	20
19	ა ტ ტ ბ ბ . .	14	3	—	—	—	—	—	1	—	—	—	—	2	20
20	ზ ტ ტ ბ ნ.	13	1	5	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	20
21	ნ ნ ბ ბ . .	12	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	6	20
22	( ) ბ ბ .	9	2	6	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
23	ფ ფ ფ . .	10	—	—	1	2	—	—	—	—	—	—	—	7	20
24	ბ ბ . . .	8	2	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	9	20
25	ბ ბ ბ . .	3	1	7	—	1	—	—	—	—	—	—	—	8	20
26	ლ ბ ბ . .	11	8	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	20
		432	74	96	23	13	2	25	45	1	4	1	3	34	7:2

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში გამართულ თვითმმართველობების არჩევნებში პარტიათა მიერ მოპოვებული მანდატების სტატისტიკური განაწილება 1921 წლის მონაცემებით. გაზ. “ერთობა” 1921, №17. გაზეთი დაცულია თსუ ბიბლიოთეკაში.

დიომიდე თოფურიძე (1871 - 1937)
სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, ქალაქ ქუთაისის თავი (მერი), დახვრიტეს „მენშევიკური ცენტრის“ წევრობის ბრალდებით.

არჩევნების შედეგების ზოგადი შეფასება

პოლიტიკური ძალები:

- ორივე არჩევნებში (ერობები და საქალაქო) სულ 143 პოლიტიკური პარტია და დამოუკიდებელი კანდიდატი მონაწილეობდა. გამოიკვეთა ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალის, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წამყვანი როლი - ჯამურად 1367, რაც არჩეულ ხმოსანთა 63.27%-ს შეადგენს. თავიანთი წარმომადგენლობა ეტაპობრივად გაზარდეს სოციალისტ-ფედერალისტურმა სარევოლუციო პარტიამ (11.92%), ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ (9.65%) და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ (5.41%);
- როგორც ერობების, ისე ქალაქების უმრავლესობაში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ხმათა უმრავლესობა დააგროვა (მ.შ. 65%-ზე მეტი - 10 ერობასა და 14 ქალაქში). გამონაკლისს წარმოადგენდა რამდენიმე ერთეული (ბორჩალოს და შორაპნის მაზრები, ქალაქები: სოხუმი, ახალციხე, ზუგდიდი, სენაკი, ონი, კოჯორი), თუმცა უმრავლესობა ოპოზიციურმა პარტიამ მხოლოდ ერთ ქალაქში, ახალციხეში მიიღო (20 მანდატი - დაშნაკცუთიუნი);
- კანონმდებლობით არჩევნებზე დაშვებული იყვნენ რეგიონული და ეთნიკური ნიშნით გაერთიანებული პარტიებიც. მათ შორის აღსანიშნავია: სომეხთა სარევოლუციო ფედერაცია - დაშნაკცუთიუნი (ხმების 2.41%), აზერბაიჯანული "ჰუმმეთი" (გამოდიოდა სოციალ-დემოკრატებთან ერთიან ბლოკში - ხმების 0.8%). ასევე: ელინთა (ბერძენთა) ჯგუფი, სომეხთა ეროვნული პარტია; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; და სოციალისტ-კოლონისტები (ბორჩალოში მცხოვრები გერმანელები).
- აღსანიშნავია, რომ ერთი მანდატი (კოდორის მაზრაში) მიიღო ბოლშევიკური პარტიის კანდიდატმა.
- უპარტიო კანდიდატებმა ჯამში 54 მანდატი (ხმების 3.95%) მიიღეს. თუმცა მათი ნაწილი შემდგომ ეტაპზე პოლიტიკურ პარტიებს (ძირითადად ეროვნულ-დემოკრატებს) მიუერთდნენ.



გუშინ 29 იანვარს გამოვდა ყოველი ვალდ, რომელიც კანონით დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს ხმოსნების საარჩევნო სიების შესავსებად, განცხადებებს ქალაქის გამგეობის მიერ განსახილვად, საჩივრების მისაცემად და სასამართლოს მიერ ამ საჩივრების განსარჩევად. 30 იანვარს ქალაქის გამგეობამ გამოიქვეყნა უკანასკნელი საარჩევნო სიები.

მუსულმანი ქალები.

ქალაქის მუსულმანთა ნაწილში 3 ნ კომისარიატში მუსულმანთა ამომარჩეველ ქალებისოვის ქალაქის გამგეობამ დაიდგინა ცალკე ყუთი დაუდგას ბიულეტენების ჩასაგდებად. მომავალ 2 თებერვალს საბჭოს ხმოსანთა ამოსარჩევად.

საარჩევნო უბნებში თებერვლიმარეების დანიშვნა.

კვირას, 2 თებერვალს, დილის 9 საათიდან დაიწყება ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. ბიულეტენების მისაღებად ქალაქი 51 საარჩევნო უბნებად არის განაწილებული, სადაც დადგმული იქნება ყუთები. რომელ უბნის საარჩევნო კრებაზე უნდა მიეიდეს ამომ-

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება მუსლიმანი ქალებისათვის ცალკე საარჩევნო ყუთის დადგმასთან დაკავშირებით. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, №24. გაზეთი დაცულია თსუ ბიბლიოთეკაში.

სხვადასხვა მნიშვნელოვანი ასპექტები:

- ხმოსნებს შორის რამდენიმე ქალი იქნა არჩეული (მაგალითად 4 ქალაქ თბილისში, 1 - ქუთაისში) განსაკუთრებით აღსანიშნავია ტფილისის მაზრის ერობის დამოუკიდებელ დეპუტატად ყარაიზაის ოლქიდან მუსლიმი ქალის - ფარი-ხანუმ სოფიევას ("ქალი რობინ-ჰუდის") არჩევა.
- მაღალი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი, მაგალითად:
  - ქალაქ სენაკის არჩევნების შედეგები გაუქმებულ იქნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ;
  - ახალქალაქის მაზრის არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნა, რისი სარჩელიც ოპოზიციამ წარადგინა, თბილისის საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა და შემდგომში არც უზენაესმა სასამართლომ (სენატმა) არ განიხილა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმის განმხილველ კოლეგიას ოპოზიციონერი თავმჯდომარეობდა;

და ბოლოს, აღნიშვნის ღირსია, რომ ოზურგეთში, 1921 წლის მარტში ჩატარდა ერობის მორიგი არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ თბილისი უკვე რუსეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული.

ელიონორა ტერ-ფარსაგოვა-მახვილაძისა (1875 - ?)
სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.

მარიამ ვარდოსანიძე (1864 - 1943)
ცნობილი მასწავლებელი და აქტივისტი. ქუთაისის საეპარქიო ქალთა გიმნაზიის უფროსი. ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან.

ფარი ხანუმ სოფიევა (1884 - 1953)
უპარტიო, თბილისის მაზრის ერობის ხმოსანი, მსოფლიოში, დემოკრატიულად არჩეული პირველი მუსლიმი ქალი.

თვითმმართველობების საქმიანობა

უშუალოდ საარჩევნო პროცესის აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანია ვნახოთ, თუ რა შედეგები მოუტანა ქვეყნანას ზემოთ აღწერილმა ცვლილებებმა. 1918-1921 წლების თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობაზე მსჯელობა რამდენიმე მიღწეული შედეგის მიხედვით შეგვიძლია.

ეკონომიკა:

- მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, წარმატებით დაიწყო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. სწორედ თვითმმართველობებმა დაიწყეს ქვეყანაში ახალი სარკინიგზო მონაკვეთების (სამტრედია-სენაკი, გორი-ცხინვალი, ქუთაისი-ხონი) მშენებლობა და ძირითადი სამუშაოებიც განახორციელეს. აქვე აღსანიშნავია, რომ საბჭოთა აგრესიის შემდეგ ეს სამუშაოები შეწყდა და მათი ნაწილობრივი დასრულება მხოლოდ 1940 წელს, სსრკ-ში სტალინის მიერ რესურსების არნახული მობილიზების პირობებში მოხერხდა.[13] საქართველოში მოქმედი რიგი მნიშვნელოვანი საწარმოების შექმნა ან/და ამოქმედებაც, რასაც შემდგომ საბჭოთა პროპაგანდა თავის თავზე მიიწერდა (მაგალითად, კასპის ცემენტის ქარხანა, მაზრებში არსებული ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონის გაყვანილობა და ა.შ.) სწორედ ერობების მიერ განხორციელდა.
- სრული სტატისტიკის არქონის მიუხედავად, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ საქმიანობის მასშტაბებზე - მარტო იმ 11 მაზრაში, სადაც ერობები პირველ ეტაპზევე ჩამოყალიბდნენ, ორი წლის განმავლობაში (1920 წლის ბოლოსათვის) რეალურად მოქმედებდა და შემოსავალს იძლეოდა 66 ქარხანა, ფაბრიკა და სხვა დაწესებულება.[14]
- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის განვითარება - ტექნიკურ ძალთა ადგილობრივი რესურსების (ტექნიკოსების, აგრონომების, ეკონომისტებისა და სტატისტიკოსების) კონსოლიდაცია;
- ერობებმა იმ მხარეებში, სადაც კოოპერაციული მოძრაობა განვითარებული იყო, კოოპერატიული ორგანიზაციების ჩართულობით მოახერხეს მოსახლეობის სურსათით, პირველადი საჭიროების ნივთებითა და სამეურნეო იარაღებით უზრუნველყოფა; ხოლო სადაც ეს მოძრაობა არ არსებობდა, მათი კომპეტენციები თავად შეითავსეს.[15]

13. დავით ლოსაბერიძე, საქართველო - ორი სახის თვითმმართველობა, "ერობა", თბილისი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018, გვ. 266.
14. პასუხათ გაზეთ "კომუნისტს", ალ. დგებუაძე, ერთობა #222, 10.10.1920. საქართველოს ერობის მოღვაწეობა, ს. ავალიანი, ერობა #1-2, 01.1921.
15. ირაკლი ხვადაგიანი, "ერობა", თბილისი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018, გვ. 88-89.

ალექსანდრე ჩიქავა (1882 - 1924)
სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ზუგდიდის მაზრის საერობო ინსტრუქტორი, დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოში აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით.

სოციალური და საგანმანათლებლო სფერო:

- თვითმმართველობების მიერ ამბულატორიების ქსელის განვითარებამ რეალურად შეასუსტა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩენილი გრიპის ახალი ვირუსის, ე.წ. "ისპანკის" გავრცელების მასშტაბი, რომელმაც ევროპაში რამდენიმე ათეული მილიონი სიცოცხლე შეიწირა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოც პანდემიის რისკის ზონაში შედიოდა, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შედეგად (სამაზრო ექიმთა ყრილობები, მაზრების დაყოფა სამედიცინო უბნებად, კლინიკებისა და ამბულატორიების მოწყობა, მედიკამენტებით მომარაგების ორგანიზება), მსხვერპლთა რიცხვი ბევრად დაბალი იყო, ვიდრე თუნდაც მეზობელ ქვეყნებში;
- საზოგადოებისთვის განათლების სერვისი ახალი სკოლების ქსელის (ძირითადად სოფლებში) მოწყობის შედეგად (რასაც მხოლოდ თვითმმართველობები ახორციელებდნენ) ბევრად ხელმისაწვდომი გახდა. ამით გაგრძელდა "თერგდალეულების" თაოსნობით ("წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება") დაწყებული საქმიანობა, რამაც საქართველოს ყოფილი რუსეთის იმპერიის რეგიონებს შორის პირველი, ხოლო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი შეუნარჩუნა ამ სფეროში;[16]

ალექსანდრე ლომთათიძე (1882 - 1924)
სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომრის ამხანაგი, ქალაქ თბილისის ხმოსანთა საბჭოს თავმჯდომარე. გარდაიცვალა გადასახლებაში ტაშკენტის ციხეში.

16. დავით ლოსაბერიძე, საქართველო - ორი სახის თვითმმართველობა, "ერობა", თბილისი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018, გვ. 269.

პოლიტიკური შედეგები:

- ადგილებზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, უფლებების გადაცემამ სეპარატისტული განწყობები მნიშვნელოვნად შეასუსტა. თავად ის ფაქტი, რომ რეგიონული, ეთნიკური ელიტები მეტ-ნაკლები აქტიურობით ჩაერთნენ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში (აფხაზეთი, ახალქალაქის, გორისა და ბორჩალოს მაზრები), არჩეული პოლიტიკური კურსის სისწორეზე მეტყველებს. მაგალითად, 1921 წლის რუსული აგრესიის დაწყებისას, წითელი არმიის მიერ შექმნილი "რევოლუციური", ე.წ. "შულავერის კომიტეტის" დაკომპლექტება ადგილობრივი, ანტიქართულად განწყობილი ეთნიკური სომხებით ვერ მოხერხდა და ეს ორგანო სომხეთიდან გადმოყვანილი ბოლშევიკებით შეავსეს.
- რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის საბჭოური ფსევდოარჩევნებისადმი ბიოკოტის მაგალითები, სხვა ფაქტორებთან ერთად, ნათლად მეტყველებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მიერ წარმოებული საქმიანობის ეფექტურობაზე. ის ფაქტი, რომ არ მომხდარა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა გადადინება ახალი ხელისუფლების მომხრეთა ბანაკში, საქართველოში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი თვითმმართველობის სიჯანსაღეზე მეტყველებს.[17]

ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ქიაჩელი) (1884 – 1963)
მწერალი, სოციალ-დემოკრატი (ალიონელი), ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე.

17. დავით ლოსაბერიძე, საქართველო - ორი სახის თვითმმართველობა, "ერობა", თბილისი, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2018, გვ. 272.

დასკვნის მაგიერ

“საქართველოში თითოეულმა გლეხმა იცის, რა მისცა რევოლუციამ და რევოლუციიდან შობილმა ახალგაზრდა რესპუბლიკამ - მიწა და დემოკრატიული თვითმმართველობა: მიწა – ანუ თავისუფლად მუშაობის უფლება შიშის გარეშე, რომ სხვა მოვა და შენი შრომითა და ოფლით დათესილ ხორბალს წაგართმევს; თვითმმართველობა - რწმენა იმისა, რომ ცხოვრება უფრო უფრო ნათელი, ადვილი და ცივილიზებული გახდება”[18]

“... ძველი წესწყობილების დროს ერობაზე მხოლოთ სწერდენ და ლაპარაკობდნენ. ეხლა კი ერობა ფაქტად იქცა. დღეს მთელი საქართველო მოფენილია საერობო თვითმართველობებით. ისეთ მივარდნილ კუთხეებშიც, სადაც წინეთ ხსენება არ იყო მასწავლებლის და ექიმისა, დღეს ერთიც და მეორეც ხალხს მოევლინა. სოფელი იღვიძებს, ხალხი თან და თან თვითმოქმედებას ეჩვევა...”[19]

ბუნებრივია, პირველი რესპუბლიკის თვითმმართველობას თავისი ნაკლოვანი მხარეებიც გააჩნდა და ბევრი საკანონმდებლო დებულება დღევენდელ გარემოსთან შედარებით არადეკვატურადაც გამოიყურება, მაგრამ მისი უმთავრესი მიღწევა იყო ის, რომ, მიუხედავად დიდი ეკონომიკური კრიზისისა და ერობათა ფინანსური უფლებების გაურკვევლობისა, დაიწყო ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ადგილზევე, მოქალაქეთა მიერ გადაწყვეტის პროცესი.

დავით ლოსაბერიძე
12 იანვარი, 2019

18. ვლადმიერ ვოიტინსკი, “ქართული დემოკრატია”, თბილისი, თსუ, 2018, გვ. 271.
19. ჩვენი ერობა, დ. ონიაშვილი. ერთობა #75, 02.04.1920, ირაკლი ირემაძე, ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, 2019